აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №3

05/05/2025 წელი **ქ. ბათუმი**
11[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. **განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ;

2. **სხვადასხვა.**

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. **განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ.

1. **განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შ[10] ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025-2027 წლების სტრატეგიული გეგმა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**პარმენ ჯალაღონია**
კომისიის მდივანი	**ტარიელ გოგიტიძე**